ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7668980

ნომერი: AR11112323

თარიღი : 09.10.2025

გაცემის თარიღი : 17.10.2025

გაცნობის თარიღი : 21.10.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა თარხნიშვილი პ/ნ 13001008940
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 15, ბინა 86

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ :

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- წარმოსადგენია არსებული ნაგებობის (რომელზედაც მოთხოვნილია საპროექტო ნაგებობის დაერთება) საკადასტრო მონაცემები (საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ამავე ნაგებობის მესაკუთრის მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა/შეთანხმებული სქემა;
- წარმოსადგენია იმ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრ(ეებ)ის მიერ გაცემული თანხმობა/შეთანხმებული სქემა, რომელთა საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობებიც საპროექტო ტერიტორიის არეალშია მოქცეული (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ფოტომონტაჟი: აღნიშნულ ველში წარმოსადგენია არქიტექტურული პროექტი (საკადასტრო საზღვრების დატანით, გეგმა, ჭრილები);
- წარმოსადგენია N01.14.03.040.008 მიწის ნაკვეთზე მოქმედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დასწრება-მონაწილეობით ჩატარებული კრების ამსახველი წერილობითი ოქმი - მასზედ ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებით, რომელშიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 100 პროცენტის დადებითი ნებელობა ცალსახად უნდა იქნეს გამოხატული მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „რემ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404505932) უფლებამოსილი წარმომადგენლის მაკა თარხნიშვილის (პირადი N13001008940) მიერ NAR11112323 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და განახორციელოს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება, ანუ გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.